საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5498/01
02/06/2021

5498-01-2-202106021741

შპს „ბლუბერიზ ჯორჯიას“
მის: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭაქვინჯი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 მაისს N8712 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭაქვინჯში სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, სამელიორაციო სისტემისთვის წყალაღება დაგეგმილია მდ. ჩეკიდან, რომელიც წარმოადგენს მდ. ყულისწყალის შენაკადს, თუმცა სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია მდინარე ყულისწყალის ჰიდროლოგიური დახასიათება და არა მდ. ჩეკის, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი სქემის მიხედვით, წყალაღების წერტილიდან მოსარწყავ მიწის ნაკვეთამდე მილსადენის ტრასა კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, თუმცა სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული მიწის ნაკვეთების მფლობელებთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს მდინარიდან წყლის ამოსაღებად განკუთვნილი 3 კუბ.მ/სთ ტუმბოს განთავსების GPS კოორდინატები;
- დაზუსტებას საჭიროებს წყლის სამარაგო რეზერვუარის ტიპი (პოლიეთილენის, გრუნტის და ა.შ.);
- დაზუსტებას საჭიროებს მდ. ჩეკიდან წყლის აღების სიხშირე, ასევე რეზერვუარის შევსების გრაფიკი და რწყვის ჯერადობა;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მდ. ჩეკის სხვა წყალმომხმარებლების არსებობისა და კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, მდ. ჩეკიდან ამოღებული წყლის რაოდენობა წელიწადში შეადგენს 4000 ტონას, თუმცა ცხრილში (დაგეგმილი მოსაპოვებელი წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად წლის მანძილზე მოსაპოვებელი წყლის რაოდენობა შეადგენს 4000 მ3-ს,

ზემოაღნიშნული შეუსაბამობიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს წლის განმავლობაში მოხმარებული წყლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, ამასთან წყალაღების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მოცულობის საზომ ერთეულში (მ3).

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე